ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №21 (7097) 1 ნოემბერი 2023 წელი

„თერჯოლობა“ – 2023

თერჯოლა, 22 ოქტომბერი, 2023 წელი

„ჩემს თერჯოლას სკანდის ციხით დავუდგები დარაჯად, დავცემულვარ მუხლზე ლოცვად დედაღვთისას კარადა, სიყვარული მოდის ჯარად, სიძულვილი არა ჩანს...“

ჩვენო თერჯოლლებო!

ჩვენთვის ძვირფასია ჩვენი მშობლიური რაიონის ყოველი გოჯი მიწა, ძვირფასია ჩვენი სანახები—ჩვენი ხალხის კოპწია ადგილ-მამულები თუ მინდორ-ველები, ჩვენი ისტორიული ადგილები, ჩვენი სოფლები, ტრადიციები თუ წეს-ჩვეულებები...

ჩვენი მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა, რომ ეს განუზომელი სიყვარული უხვად ჩაექსოვა მათ სადიდებელ რიტუალებში, იმ სადღესასწაულო დღეებში, რომლებსაც საგანგებოდ უძღვნიდნენ თავის მშობლიურ კუთხეს—სოფელს, ქალაქს, ჯერ რაიონს, შემდეგ მუნიციპალიტეტს...

ასეთი არაერთი დღესასწაული იციან თერჯოლამ და თერჯოლლებმა...

დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ მათ რიცხვში ღირსეულად შეაბიჯა „თერჯოლობამ“—სახალხო ზეიმმა, რომელიც წელს პირველად აღინიშნა ამ სახელწოდებით. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ მისი წინამორბედიც საინტერესო იყო ადრინდელი „ღვინის ფესტივალის“ სახით.

ახალ დღესასწაულს, მარტო სახელი არ ჰქონდა ახალი, 22 ოქტომბრის ამ დღემ კარგად შეისისხლხორცა და გაამდიდრა ძველი დღესასწაულების გამორჩეული ელემენტები, იყო უფრო მრავალფეროვანი, დინამიური და სანახაობრივი...

ადგილმა კი, სადაც ის პირველად მოეწყო—აწგარდაცვლილი მერის ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერმა, კარგად შეუწყო ხელი ორგანიზატორთა ჩანაფიქრის განხორციელებას.

ბევრმა, ძალიან ბევრმა თერჯოლელმა, იმდღევანდელმა სტუმარმა და არა მარტო მათ, აღიარეს, რომ ეს დღე შედგა და პირველმა „თერჯოლობამ“ საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა...

მადლობა „თერჯოლობას“, მადლობა თერჯოლას და თერჯოლელებს. მადლობა თერჯოლის მერიას და საკრებულოს, მადლობა ამ დღის ორგანიზატორებს... კმაყოფილებით აცხადებენ ისინი!..

მრავალ თერჯოლობას დაგვასწროს უფალმა!

თერჯოლის საპატიო მოქალაქეები

თერჯოლობის დღეს დასახელდა თერჯოლის საპატიო მოქალაქეები. ეს საპატიო ტიტული მიენიჭათ: ტრაგიკულად დაღუპულ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს ლაშა გოგიაშვილს, დარეჯან ჯაფარიძეს, სოსო გიორგაძეს, გივი ლობჟანიძეს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

საგზაო ინფრასტრუქტურა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მუდმივ კონტროლზეა ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტულ მიმართულება—კერძოდ, საგზაო ინფრასტრუქტურა...

ოქტომბრის თვის მერე და მესამე დეკადაში ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, გოდოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელ გურამ ცირეკიძესთან ერთად ხორხის უბნის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, მშენებელი კომპანიის წარმომადგენელს ესაუბრა და პროექტის ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

როგორც მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ აღნიშნა **„ თერჯოლის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად გრძელდება, ხორხის უბანში პროექტის ფარგლებში 400 მეტრამდე არმირებული ბეტონის საფარის საავტომობილო გზა მოეწყო. გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ჭალასთავში, ამ—დროისთვის დასრულებულია 900 მეტრამდე გზის მშენებლობა. პროექტი 2024 წელს სრულად განხორციელდება“.**

გრძელდება ჭიჭინაძეების უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. აქ პროექტის ფარგლებში 950 მეტრამდე არმირებული ბეტონის საფარის გზა მოეწყობა.

გოდოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზების სამშენებლო სამუშაოები რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

***

საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძესთან და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ელისო მურადაშვილთან ერთად სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე გზის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა.

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, ქალაქ თერჯოლაში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე, საავტომობილო გზის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში არმირებული ბეტონის საფარით 1 კმ-მდე გზა მოეწყობა.

გზის სამშენებლო სამუშაოებს შპს „მშენებელი 2022“ ახორციელებს. პროექტის დასრულების შემდეგ გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება.

***

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად სოფელ თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, სადაც არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს.

პროექტი რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ფარგლებში ერთ კილომეტრზე გზა მოეწყობა.

სამუშაო შეხვედრას თუზის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი, მამუკა გოგბერაშვილი და ადგილობრივები ესწრებოდნენ.

17 ოქტომბერს , ვეტერანთა დღეს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან და თერჯოლაში ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროს გიორგი ლილუაშვილთან ერთად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ომის ვეტერანებს შეხვდა და ვეტერანის დღე მიულოცა. მათ სამომავლოდ მხარდაჭერას დაჰპირდა.

იმავე დღესვე, ხელმძღვანელმა პირებმა საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და მათ ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

გმირთა მემორიალზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯემალ ისაკაძე, მერიის თანამშრომლები, ასევე ვეტერანები და სხვა მოწვეული სტუმრები იმყოფებოდნენ.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება. 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“, რაც შემდგომში ვეტერანის დღის დაწესების საფუძველი გახდა.

მხარდაჭერა ბავშვიან ოჯახებს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა გადასცა.

რამდენიმე ოჯახში, პირადად მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან ერთად იმყოფებოდა. იგი ბენეფიციარებს გაესაუბრა და სამომავლოდ კვლავ თანადგომას დაჰპირდა.

ამ მიმართულებით, შემოსულ განცხადებებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება განიხილავს. ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის ფარგლებში, ბენეფიციარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, გაზქურა, მაცივარი და სარეცხი მანქანა გადაეცათ.

პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების გაძლიერება, სამიზნე ჯგუფს დაეხმაროს სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

სამუშაო შეხვედრას, ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი მანუჩარ ფანჩულიძე, ალისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი, ბადრი ბუცხრიკიძე, ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ლაშა ლანჩავა, ასევე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომელი ნინო ხუჯაძე ესწრებოდნენ.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ტყიბულის მიმართულებით, დამატებით, რამდენიმე ადგილზე ამუშავდა სექციური სიჩქარის მზომი ვიდეოკამერები, რაც უზრუნველყოფს საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვით გადაადგილებას.

მიმდინარე წლის, 20 ოქტომბრიდან სექციური სიჩქარის მზომი კამერები ჩაირთი ქალაქ თერჯოლის მე-2 საბავშვო ბაღიდან, ჩხარის №2 საჯარო სკოლამდე (მეტლახის დასახლება).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ და დავიცვათ კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების წესები.

„თერჯოლობა“ – 2023

თერჯოლა, 22 ოქტომბერი, 2023 წელი

„ჩემს თერჯოლას სკანდის ციხით დავუდგები დარაჯად, დავცემულვარ მუხლზე ლოცვად დედაღვთისას კარადა, სიყვარული მოდის ჯარად, სიძულვილი არა ჩანს...“

„შემოდგომის უღელს მზე ხარივით უბია“

2023 წლის 22 ოქტომბერი—დილა ადრიანი და მზიანი, მერე თანდათან იმატა მზის მცხუნვარებამ, ამინდმა ეშხი და ლაზათი შემატა ისედაც ამაღლებულ განწყობილებას.

„თერჯოლობის“ ჩასატარებლად დილიდანვე სასიამოვნო „არეულობა“ იყო. აქ უკვე იგრძნობოდა, რომ „თერჯოლობა“ მაღალ დონეზე ჩაივლიდა, ზუსტად ისეთი იქნებოდა თერჯოლას რომ ეკადრება. დილიდანვე მოვიდნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, ზუსტდებოდა ბოლო დეტალები.

ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერი, მიმდებარე ტერიტორია, სადაც „თერჯოლობა“ უნდა ჩატარებულიყო, მთლიანად ჰქონდა მოცული მრავალი სახის გასართობ ატრაქციონს. თავიანთი კუთხეები ჰქონდათ მიჩენილი ადგილობრივ და სხვადასხვა რაიონებიდან თუ ქალაქებიდან მოსულ ინდმეწარმეებს, რომლებიც საუკეთესო და ნაირ-ნაირ პროდუქციას სთავაზობდნენ თერჯოლელებს, უამრავ სტუმარს თუ მასპინძელს. იკრიბებოდა სრულიად თერჯოლა, რაიონიდან წასულები, დროებით ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში თუ საზღვარგარეთ მცხოვრებნი, ადრე ცნობილი სახეები, თერჯოლაზე და თერჯოლელებზე შეყვარებული ხალხი. ნაცნობ-უცნობები ერთმანეთს ესალმებოდნენ და ულოცავდნენ. ოქტომბრის ამ მშვენიერ დღეს ერთმანეთი, ყველა და ყველაფერი გვიყვარდა, „თერჯოლობას,“ ერთიანობას და სიყვარულს ზეიმობდა თერჯოლა...

ასეულობით პატარა მოხიბლა გასართობმა ბავშვთა ქალაქმა, საპნის ბუშტების შოუმ.

ისინჯებოდა, იყიდებოდა და იყო ქება „ურიცხვი“ ხელნაკეთი ნაწარმის, პატარებიც და დიდებიც სიამოვნებით აგემოვნებდნენ ადგილზე მომზადებულ და ამ დღისათვის წარმოდგენილ კვების პროდუქტებს.

ყურადღება მიიქცია ამჟამად თბილისში მცხოვრებმა ეკვადორელმა მეწარმემ ხოსე პიკვასმა. ბევრმა იცის სიქთარვის საჯარო სკოლაში ამერიკელი მოხალისე მასწავლებელი—სოსო. მათ მალევე მოუნახავთ ერთმანეთი და კი ჩაჯდომიან სიქთარველების უხვ სუფრას. ხოსემ და სოსომ ორივემ იცის ქართული, ორ სიტყვას მოვკარი ყური—მშვენიერი, საოცარი. ეკვადორი სამხრეთ ამერიკის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, წყნარი ოკეანის რამდენიმე სხვა კუნძულთან ერთად, არა ნაკლებ საოცარია—როგორ მოგვაგნო!

კუთხე—გამოფენები სკვერში

სკვერის ერთ მონაკვეთზე მოწყობილი იყო ტურისტული კუთხე, ტურისტული კარვებითა და საინფორმაციო სტენდით თერჯოლის ტურიზმზე.

სკვერის ვრცელ ტერიტორიაზე ფართოდ, ლამაზად, მრავალფეროვნად და საინტერესოდ იყო წარმოდგენილი მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი.

სკვერში, მოსწავლეთა ცენტრის ინიციატივით მოეწყო არაჩვეულებრივი საშემოდგომო დეკორაციები, ფოლკლორის კუთხე, სამზარეულო, რომელმაც უამრავი დამთვალიერებლის მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა. აქვე იყო სურვილების სახლი, სადაც 221 ადამიანმა საყვარელ თერჯოლასთან დაკავშირებული წინადადება, იდეა თუ მოსაზრება სურვილად აქცია და ყუთში წერილობით დატოვა.

სკვერის ამფითეატრის სცენაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით იმერულ მოტივებზე შექმნილი ღონისძიება გაიმართა, რომელშიც ცენტრის მხატვრულ კოლექტივებთან და აღსაზრდელებთან ერთად სამუსიკო სკოლის მოსწავლეებიც ღებულობდნენ მონაწილეობას.

სკვერის ამფითეატრთან სამხატვრო სკოლის ორგანიზებით მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. იქვე, ამ საზეიმო დღეს, ხელმძღვანელმა პირებმა, თერჯოლისა და ტყიბულის მიტროპოლიტთან მეუფე გიორგი შალამბერიძესთან ერთად სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა-კონკურსში „ჩემი ქალაქი“ დაათვალიერეს. მათვე პირადად დააჯილდოვეს გამარჯვებული მოსწავლეები.

იმ დღეს ერთად, გვერდი-გვერდ იყო ჩვენი ქალაქის უკვე ცნობილი ხელოვანი ქალბატონების: ნანა გოგიაშვილის, ხათუნა გურულის, თეა ტალახაძის, მერი კუპატაძის, თეონა ჭანტურიძის მრავალფეროვანი ნამუშევრები. ისინი მნახველთა ინტერესსა და მოწონებას იწვევდა და დიდხანს იდგნენ გამოფენის წინ.

მდიდარი გამოცდილება გამოადგათ

თერჯოლის მუნიციპალიტეტი „ღვინის ფესტივალს“ 2013 წლიდან აღნიშნავს. მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდიდარი გამოცდილება არის დაგროვილი, მაგრამ მაინც იყო რაღაც საინტერესო, მიმზიდველი, ახალი და გამორჩეული თითოეული სოფლის კუთხესთან, რომელიც წილისყრით შეხვდათ. მალე დანომრილი და ცარიელი მაგიდები ქათქათა გადასაფარებლებით დაიფარა. მსუბუქი ავტომანქანებიდან, მიკროავტობუსებიდან გადმოჰქონდათ სხვადასხვა სურსათი და ღვინო „ღმერთების სასმელი“. მოჰქონდათ თონეები, ღვინის გადასაღები მოწყობილობები, მომცრო ჭურები, დოქები, ჭინჭილები, თლილი სასმისები, ხაპები და ორშიმოები, მინიატურული ურმებიც კი, თანდათან იწყობოდა სუფრა, იმერული შნო და ლაზათი ეტყობოდა ყველაფერს, აინთო მაყალი, მოდუღდა ფელამუში, ამოივლო ჩურჩხელები, თონეში ფიჩხი ჩაიყარა... ცალკე მოეწყო სადეგუსტაციო ღვინოების მაგიდა, „წარმომავლობის“, „ღვინის მფლობელების“ გვარების მინიშნებით და სანამ ყველა სუფრა „მოიფინებოდა ყვავილებით“, სპორტულ მოედანზე ლაშა გოგიაშვილის სახელობის მუნიციპალური ტურნირი გაიმართა მინი ფეხბურთში, ერთმანეთს ფინალში გამარჯვებული გუნდები ხვდებოდნენ.

ხელის თხოვნა სტადიონზე

და მოხდა საინტერესო, ამაღელვებელი, სასიხარულო ფაქტი. სტადიონზე, ძევრელმა თორნიკე ფანჩულიძემ, ხელი სთხოვა საზანოელ თამარ თავბერიძეს. ფეხბურთელები, მრავალრიცხოვანი მაყურებელი წყვილს მიუახლოვდა, ყველამ მიულოცა და ბედნიერება უსურვა ახალგაზრდებს. წყვილს ბედნიერება მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა.

თერჯოლის ფეხბურთის სტადიონზე ჩაეყარა საფუძველი ახალ ოჯახს, მთელი საქართველო თუ არა, მთელი თერჯოლა ხომ მაინც ნახავს ☞4

„თერჯოლობა“ – 2023

3☞

თერჯოლა, 22 ოქტომბერი, 2023 წელი

„ჩემს თერჯოლას სკანდის ციხით დავუდგები დარაჯად, დავცემულვარ მუხლზე ლოცვად დედა ღვთისას კარადა, სიყვარული მოდის ჯარად, სიძულვილი არა ჩანს...“

და მიულოცავს თორნიკეს და თამარს ამ ბედნიერებას.

„აწვიმს საქართველოს ვაზის სიმფონია“

თერჯოლაში ვაზის რამდენიმე ჯიშია გავრცელებული, „თერჯოლობაზე“ ყველა წარმოდგენილი იყო. სჭარბობდა ციცქა, ცოლიკაური, შერეული, წითელი ღვინო, ოცხანური, ბოცებში, ბოთლებში, ძირითადად ჭურებში დაყენებული. ეს მამაპაპური თიხის ჭურჭელი, კვერცხის მოყვანილობისა, როგორც სულხან საბა განმარტავს, ასე განიყოფებიან: დიდსა ეწოდების ქვევრი, მისსა შემდგომსა ყვიბარი, მისსა უმცროსსა ქოცო. ვინ იცის, სოფლებიდან წარმოდგენილი ჭაშნიკი რომლისა იყო, მაგრამ ყველა რომ კარგი იყო, ღვინის მცნობელი ხალხი ადასტურებდა.

* * *

გაიმართა ღვინის კონკურსი, სომელიებმა (დეგუსტატორებმა) ყველა სოფლის მიერ წარმოდგენილი ღვინო გასინჯეს, მცირე ხნით სათათბიროდ შეიკრიბნენ და გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში. **საუკეთესო ციცქა—გიორგი ქოჩიაშვილი (სიქთარვა), საუკეთესო ცოლიკაური—მერაბ ტყეშელიაძე (კვახჭირი), საუკეთესო შერეული (ციცქა-ცოლიკაური) მირზა ცერცვაძე (ქვ. სიმონეთი), საუკეთესო ქვევრის ღვინო რამაზ ნიკოლაძე (ნახშირღელე), საუკეთესო წითელი ღვინო (საზანოს მარანი), საუკეთესო განსხვავებული ჯიში ირაკლი კუბლაშვილი (ღვანკითი).**

„თერჯოლობაზე“ კიდევ ერთხელ შეფასდა მშრომელი კაცის შრომა, ტრადიციული დარგი მევენახეობა-მეღვინეობა, ისიც, რომ ჩვენ ვიცით ვაზის ფასი. ვაზი არ გაიჩეხება, თერჯოლაში მომრავლდება ციცქა, ცოლიკაური, ოცხანური, განსხვავებული ჯიშები, ვენახი მაღლარი, დაბლნარი, ხარდნის ვენახი, ტალავერი, განრთხმული...

ქართველი ხალხის ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება, ათასეული წლების მანძილზე იქმნებოდა მისი კულტურა, მუშავდებოდა ღვინის დამზადების ტექნოლოგიები, ქართული ღვინოები ქებით არის მოხსენებული ანტიკური ავტორების შრომებში, უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებში.

ოჯახურ პირობებში წარმოებული ღვინოები იყო წარმოდგენილი თერჯოლაში გამართულ ღვინის ფესტივალებზე და წელს „თერჯოლობაზე“, ასე იქნება მომავალშიც.

* * *

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი, მოწვეული სტუმრები იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან, მეზობელი რაიონებიდან, დედაქალაქიდან, სხვადასხვა ქალაქიდან სოფლის ყველა კუთხესთან მივიდნენ, გაწყობილი სუფრა, უხვი და მრავალფეროვანი, თითოეული სოფლის დამახასიათებელი ნიშნით წარმოდგენილი, გამოხატავდა ქართულ წეს-ჩვეულებებს, სილამაზეს, ხალხის მაღალ სულისკვეთებას.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და სტუმრებმა „აღიარეს“, რომ ყველა კუთხე გამორჩეული იყო, მერის წარმომადგენლებს სოფლებში ბევრი უმუშავნიათ, სახეზე იყო სკოლების, ბაგა-ბაღების და სოფლის წარმომადგენლების ურთიერთთანამშრომლობა.

* * *

„აზვავებული შემოდგომა“ წელს „ბეღლებს“ არ ჩაბარებია. მევენახეს არ გაუმართლა, მაგრამ ქართულ სუფრას, მითუმეტეს სტუმრებთან, „გარეთ გასატანად“ მაინც არაფერი აკლია. ამ წესშიც არის ჩვენი ღირსება.

* * *

„თერჯოლობა“ დიდხანს გაგრძელდა, ოფიციალური ნაწილის-კუთხეების დათვალიერება და დეგუსტაციის დამთავრების შემდეგ, კუთხეებში გაწყობილი სუფრა განახლდა, იყო გადაპატიჟება, გამვლელების მიწვევა, გადამქრალი ნაკვერჩხალი მაყალში ისევ გაღვივდა, გაცხელდა მწვადები და ხაჭაპურები, ყველას უნდოდა მოწონებული ღვინოების დაჭაშნიკება.

* * *

თამადა, ქართული სუფრის მშვენება, აქ არ აურჩევიათ, ყველა კუთხეს თავისი ჰყავდა, ყველა კუთხეში ყველა თავისას ამბობდა, პირველი ყველგან, „თერჯოლობის“, მშვიდობის, იმედის, მომავალის, სიყვარულის, გატანის, გამძლეობის სადღეგრძელო იყო.

თერჯოლას სტუმრობდა და ყველა თერჯოლელი დალოცა თერჯოლისა და ტყიბულის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგიმ (შალამბერიძე). თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყველა მოქმედი ეკლესიის წინამძღვრებმა, იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერებმა და საკრებულოს თავმჯდომარეებმა, სხვა სტუმრებმა მეზობელი ქალაქებიდან, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან, ზეიმის მონაწილეებმა სახელდახელოდ მოწყობილ სცენისაკენ გადაინაცვლეს.

დაჯილდოება

ღვინის კონკურსში გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები და დიპლომები გადასცეს მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავრმჯდომარის მოადგილემ დავით გოგბერაშვილმა, მათვე პრიზები და მადლობის სიგელები გადასცეს ცხრამეტივე ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს ღვინის კონკურსში მონაწილეობისათვის, სოფლის წარმოჩენისათვის. აქვე მოხდა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება—**გიორგი ამბროლაძე** (გოდოგანი), ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში, **იური ჩაფიძე** (ქვ. სიმონეთი), ვერცხლის მედლის მფლობელი 17 წლამდე ასაკის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. **გიორგი სვინტრაძე** (ჭოგნარი) პარა სპორტსმენი, პარა მკლავჭიდელი და მსოფლიოს ჩემპიონი.

მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით წარმატებულ თერჯოლელ სპორტსმენებს გადაეცათ 5000-5000 ლარი, მწვრთნელებს 2000-2000 ლარი.

„თერჯოლობა“ 2023 —ის კულმინაცია

დასახელდა თერჯოლის საპატიო მოქალაქეები. ეს საპატიო ტიტული მიენიჭათ:

ტრაგიკულად დაღუპულ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს **ლაშა გოგიაშვილს,** 2020 წლის აპრილიდან იგი იყო მერის პირველი მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი. ზედიზედ ორჯერ არჩეული მერი. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. მის სახელს უკავშირდება ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი, განსაკუთრებული კვალი დატოვა მერობის მცირე დროში, ნეტა დაცლო-
და, ბევრ და სასიკეთო საქმეს ☞5

„თერჯოლობა“ – 2023

4 ☜

თერჯოლა, 22 ოქტომბერი, 2023 წელი

„ჩემს თერჯოლას სკანდის ციხით დავუდგები დარაჯად, დავცემულვარ მუხლზე ლოცვად დედა ღვთისას კარადა, სიყვარული მოდის ჯარად, სიძულვილი არა ჩანს...“

გააკეთებდა, ეს საქმეები და კიდევ მრავალი გრძელდება...

დარეჯან ჯაფარიძე—1972 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1987-1995 წლებში იყო თერჯოლის რაიონის მთავარი ექიმი, არის პირველი კატეგორიის ექიმი, მიღებული აქვს სახელმწიფო სერთიფიკატი „შინაგან მედიცინაში“, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით. დარეჯან ჯაფარიძე 46 წელი სიყვარულით, ერთგულად და მაღალპროფესიულად იდგა თერჯოლის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

სოსო გიორგაძე—საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის-საქპატენტის თავმჯდომარე. მის სახელს უკავშირდება სოფელ საზანოში იუსტიციის სახლის მშენებლობა. მისი ჩართულობით და ინიციატივით რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ მოედანს და გადაეცათ სპორტული ინვენტარი. სოსო გიორგაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქ. თერჯოლაში იუსტიციის სახლის მშენებლობის საქმეში, 2013-2022 წლებში მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე.

გივი ლობჟანიძე—იგი წარმოშობით რაჭველია, მაგრამ ბევრი რამ აკავშირებს თერჯოლასთან. 1982-86 წლებში იგი ემსახურებოდა თერჯოლის მოსახლეობის სიმშვიდესა და წესრიგის დაცვას, იყო თერჯოლის რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსი, იგი არის მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 26 წიგნის (მათ შორის ცხრა სახელმძღვანელოს) ავტორი და 10 წიგნის თანაავტორი. სამინისტროს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის და ღირსების ორდენებით.

* * *

საპატიო მოქალაქეებმა სიტყვები წარმოთქვეს, სამადლობელი არ დაიშურეს.

* * *

განათლების სფეროში მიღწეული წარმატების შესახებ ისაუბრა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, სცენაზე მოიხმეს დამსახურებული პედაგოგები დალი სარალიძე და ეთერ ტურავა, მათ თაიგულებიც დაიმსახურეს...

კმაყოფილები და ბედნიერები ჩანდნენ, მადლობაც არაერთხელ გამოხატეს.

შემაჯამებელი კონცერტი—ადგილობრივი ანსამბლები

„თერჯოლობა“ შემაჯამებელმა კონცერტმა დაასრულა. სიმღერის ანსამბლმა „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცრიკიძე), ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საპოვნელა“ (ხელმძღვანელი გოჩა ჭანკვეტაძე, ქორეოგრაფები ირინა ბუცხრიკიძე, გიორგი და თამუნა ჭანკვეტაძეები, ნანა მაკარიძე). ანსამბლმა „იამე“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), ფოლკლორულმა ანსამბლმა „იმერეთი“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბერიკონი“ (ხელმძღვანელები: ზაურ სვანიძე, ვიტალი და მანუჩარ ლაღაძეები), ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „GEO გენი“ (ხელმძღვანელი ირინა ბუცხრიკიძე) მოხიბლა მაყურებელი.

თერჯოლის მკვიდრი ლევან მაკარიძე

იგი თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის წამყვანი სოლისტია, საინტერესო გზა აქვს გავლილი... ლევანმა ახლახან სოლო კონცერტი გამართა ლიტვაში, საოპერო ნაწარმოებები შესრულებული აქვს იტალიაში, გერმანიაში, ჩინეთში. თერჯოლაში მან შეასრულა „ღვინოვ კახურო“. საამაყოა, თერჯოლაში, ჩვენს გვერდით, ჩვენს თვალწინ გაზრდილი ლევანი, მსოფლიო სცენებს იპყრობს.

* * *

ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტი, პროფესორი და ხელოვნების ქურუმი, თერჯოლის მკვიდრი რამაზ კუბლაშვილი სტუმრობდა თერჯოლას და მოხიბლა მსმენელი, მან და ლევან მაკარიძემ ანსამბლ „მასპინძელოსთან“ ერთად შეასრულა სიმღერა „საპოვნელა“.

შესანიშნავი დღე—თერჯოლობა ადგილობრივი ანსამბლების, ბატონების ლევანისა და რამაზის მიერ შესრულებული „მრავალჟამიერით“ დამთავრდა. დღის მთავარი ღონისძიება მიჰყავდა თბილისიდან სპეციალურად ჩამოსულ თერჯოლის მკვიდრს ნატა ცხადაძეს.

* * *

დამთავრდა „თერჯოლობაც“, ამოიწურა „დღის წესრიგი“, „ვაზის სიმფონია“ აწვიმდა თერჯოლას, იდგა ჟამი რთველის, ოქროსფერი შემოდგომის და სიყვარულის. მართლაც, „გინდ ჩასულხარ იმერეთში, გინდა სამოთხეში“.

ჟუჟუნა ცხადაძე
დავით კლდიაშვილი

„თერჯოლობა“-2023-ის გვერდებზე რეფრენად გამოყენებულია ტაეპი თერჯოლელი პოეტის, გონერი მოსელიძის ლექსიდან „ჩემს თერჯოლას“.

ბავშვობის დაუვიწყარი მოგონებები

...მშობლები, ერთადერთი და, რომლებიც ეხმარებოდნენ მოსწავლეობისას, ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ საგნებსა და ცხოვრებასაც, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლადაც ბევრს მიაღწია, მაინც რჩება მისი ბავშვობის საუკეთესო ისტორიად და მადლობელ ადამიანებად.

„თანდათან ფერმკრთალდება ბავშვობის მოგონებები, მაგრამ არ შეიძლება დამავიწყდეს მშობელი დედასავით მზრუნველი მასწავლებლები და საქებარი, სასწაული სიტყვები, რომლებსაც ისინი მეუბნებოდნენ“—ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელმა ლალი ამბროლაძემ, თავის დროზე ოქროს მედალოსანმა და 100%-იანი გრანტის მფლობელმა.

დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე

2009 წელს ჩააბარა ეროვნული გამოცდები. ჩაირიცხა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განსაკუთრებული სიხარული მაშინ იგრძნო, როცა თავისი გვარი რეიტინგული სიის სათავეში ამოიკითხა, მოტივაციის მომცემი იყო თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფასიანი საჩუქარი. უნივერსიტეტში, საგნებში მიღებული კრედიტების მიხედვით დაენიშნა სახელმწიფო სტიპენდია, ბაკალავრის ოთხი წელი წითელ დიპლომზე დაამთავრა. 2012-13 სასწავლო წელს მონაწილეობდა გაცვლითი პროგრამის კონკურსში, მოიპოვა სრული დაფინანსება და ყოველთვიური სტიპენდია 1000 ევრო. 6 თვის განმავლობაში სწავლობდა ავსტრიის ქალაქ გრაცში, „ეს იყო უდიდესი გამოცდილება, ავსტრიელი და ამერიკელი ლექტორები, დილის რვა საათზე დაწყებული და საღამოს ცხრა საათზე დამთავრებული ლექციები, გადაჭედილი სალექციო დარბაზები, საინტერესო სემინარები, საერთაშორისო სტუდენტები, სტუდენტური საცხოვრებლები, წვეულებები, დასვენების დღეები, ფერადი შემოდგომა, სასწაული შობა-ახალი წელი, საჩუქრები—გვითხრა ლალიმ და დაბრუნდა დიდი ცოდნით, გამოცდილებით, საკმარისზე ბევრად მეტი კრედიტებით. 2013 წელს ისევ ჩააბარა ეროვნული გამოცდები და ისევ 100%-იანი დაფინანსებით და საუნივერსიტეტო შიდა გამოცდების შედეგად მოპოვებული ქულებით სწავლა მაგისტრატურაზე, ინგლისური ენის მიმართულებით გააგრძელა, მიიღო წითელი დიპლომი. იმავე წელს ინგლისური ენის მიმართულების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნათია ზვიადაძემ შესთავაზა უნივერსიტეტში ლაბორანტად მუშაობა, რომ არა ბავშვობის გატაცება, მასწავლებლის პროფესიის და ბავშვების სიყვარული, შესაძლოა სხვაგვარად წარმართულიყო მისი ცხოვრება. „დავიწყე სკოლებში ვაკანტური ადგილების მოძიება, რამდენიმე სკოლაში დავტოვე რეზიუმე. გეგმაში მქონდა თერჯოლის №1 საჯარო სკოლა და სხვა შემოთავაზება არ მივიღე. სკოლის მაშინდელმა დირექტორმა ქალბატონმა დალი სარალიძემ იქვე წაიკითხა რეზიუმე და მითხრა აქამდე სად იყავიო. ამ ადამიანმა მომცა შესაძლებლობა გავმხდარიყავი მასწავლებელი, გამეცნო სკოლის უძლიერესი პედაგოგები, მესწავლა მათგან“... მალე მოიპოვა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, მალევე მიიღო მონაწილეობა შესარჩევ კონკურსში და გახდა ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ერთ-ერთი წევრი. გაიარა სასწავლო კურსი „ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გამოყენებით“, ამ პროექტით მიეცა საშუალება ლექციების და პრაქტიკული დავალებების შემდეგ ჩაეტარებინა გაკვეთილები, რომლითაც მიიღო უდიდესი გამოცდილება. მისი ორკვირიანი თავგადასავალი საჩუქრების და სერთიფიკატის გადაცემით დასრულდა. მენტორი მასწავლებელი ჩართულია მრავალ საერთაშორისო პროექტში. ეს აძლევს საშუალებას დაეხმაროს მოსწავლეს ინგლისური ენის ოთხივე მიმართულების გაუმჯობესებაში—წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი. „ენობრივი უნარების განვითარების გარდა, პროექტული სწავლებით მოსწავლეები იცნობენ თავიანთ უცხოელ თანატოლებს, იძენენ სხვადასხვა კულტურულ უნარ-ჩვევებს და ყალიბდებიან გლობალურ მოქალაქეებად“—თქვა ლალიმ და კმაყოფილია, რომ გასული სასწავლო წელი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან ჩართული იყო ხუთ საერთაშორისო პროექტში და ხუთივეს თანადამფუძნებელი იყო. ხუთივე პროექტი: „მეგობრები ინგლისური ენის ბაღში“, „ინგლისური მთელ მსოფლიოში“, „დავუბრუნდეთ ბუნებას“, „გადავარჩინოთ პლანეტა“ და „ვირტუალური მუზეუმი“ წარდგენილია ეროვნული ხარისხის ნიშანზე. ბრიტანეთის საბჭოს და მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული სატრენინგო კონკურსი, რომელიც შედგება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილისაგან და ძალიან ღირსეული სერთიფიკატისაგან, მისთვის დიდი გამოცდილების და წინსვლის მომტანი იქნება.

2018 წელს ჩაერთო პროფესიული განვითარების საქმიანობაში, გადავიდა შემდეგ საფეხურზე და მიიღო წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. 2022 წელს გავიდა განათლების სამინისტროს მიერ დაანონსებულ გამოცდებზე და გადალახა მენტორი მასწავლებლისათვის დადგენილი ზღვარი.

ლალის მოსწავლეებმა არაერთ ეროვნულ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და ჩართულნი იყვნენ რამდენიმე საერთაშორისო პროექტში. „ყველა ის აქტივობა, რომელიც სკოლაში, მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელდა არ იქნებოდა წარმატებული, რომ არა თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ელისო მურადაშვილის მხარდაჭერა. „ძალიან მინდა, რომ ყველა მოტივირებულმა, დაინტერესებულმა და მშრომელმა პედაგოგმა განიცადოს პროფესიული სიხარული. ჩემთვის დაუვიწყარია გასაუბრებისა და პრეზენტაციის დღე, 25 წუთი დასჭირდა 2019-2022 წლებში შესრულებული აქტივობის წარდგენას, დღემდე მახსოვს კომისიის წევრის სიტყვები—საკმარისზე მეტი გიმუშავია... რასაც მოჰყვა ინგლისური ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებლის სტატუსი“. ლალი ფიქრობს, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია, ეს არის მუდმივად განახლებადი, ცვალებადი და სიახლეებით მდიდარი სფერო, მიესალმება ყველა იმ სასიკეთო ცვლილებას, რომელიც მოსწავლის განვითარებაზე და განათლებაზე იქნება ორიენტირებული და არა დროის, რესურსისა და ენერგიის ტყუილად ხარჯვაზე. „ჩემთვის განსაკუთრებით სიხარულის მომგვრელია ის ფაქტი, როცა ჩემს მოსწავლეებს აინტერესებთ მასწავლებლობა და სურვილი აქვთ, ინგლისური ენის მასწავლებლები გახდენ“—ამბობს იგი.

მოტივაციის მომტანი არსებები

რთული, შრომატევადი, დაძაბული იყო წლები, რომელიც მიზნამდე მიიყვანდა, ამ პერიოდში ხანდახან როგორც თვითონ თქვა, „დავიწყებია“ კიდეც. მისი მოტივაციის მთავარი შემოქმედნი შვილებია. ლალი სამი ანგელოზის დედაა—ხუთი წლის გიორგი, სამი წლის გაბრიელი და ორი წლის მარიამი, მისი სიამაყეა. მისი სურვილია, რომ შვილები ისეთივე სულისკვეთებით გაზარდოს, როგორც მშობლები ზრდიდნენ, უნდა მისმა შვილებმა—იცოდნენ სწავლის და შრომის ფასი. ლალი ის ქალია, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება, დაუდგება და გადალახავს.

ჟუჟუნა ცხადაძე

„წლები მიფრინავს, მერე რა“...

ზოია თურქაძეს კარგად იცნობს თერჯოლა. იცნობს, როგორც აქტიურს, შრომისმოყვარეს, ერთგულ და საიმედო ადამიანს, მას ბევრგან უმუშავნია, ყველგან ამჟღავნებდა ნიჭსა და უნარს, ჩუმსა და უპრეტენზიოს არ იზიდავდა თანამდებობები, პირველობის სურვილი არასოდეს ჰქონია.

ზოია კარგი მეგობარია, უღალატო, როგორც თვითონ ამბობს ერთ-ერთ ლექსში „მეგობრები აიმედებენ“. სამუშაო, მეგობრები, უამრავი ნაცნობი, რომლებიც წლებმა დაუგროვა ზოიასათვის ყველაფერია. განსაკუთრებით უყვარს პოეზია, ზეპირად სწავლობდა მის ბრწყინვალე ნიმუშებს, ხშირად გვიკითხავდა ექსკურსიებზე თუ დაბადების დღეებზე. თვითონაც კარგად წერს, მაგრამ ყოველთვის ფრთხილობს, იშვიათად, ათასში ერთხელ მიაკითხავდა რედაქციას, ისიც თხოვნის საფუძველზე.

ვულოცავთ ზოია თურქაძეს დაბადების დღეს, ჯანმრთელობას ვუსურვებთ, ბედნიერი ყოფილიყოს მისთვის აწი გასავლელი. ამჯერად კი მისი ცხოვრება გაახალისა სსიპ სოციალური მომსახურების სამმართველოს მადლობის სიგელმა, რომელშიც ვკითხულობთ—ზოია თურქაძეს—სააგენტოს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, კეთილსინდისიერი და ხანგრძლივი სამსახურისთვის. სოციალური სააგენტოს თერჯოლის სერვისცენტრის თანამშრომლებმა რედაქციას სთხოვეს მისი ლექსის დაბეჭდვა.

წლები მიფრინავს, მერე რა, გული ხომ გვრჩება უცვლელი...

ჩემო თავო გიწერ ამ ლექსს,
რა ცხოვრება წავიდა,
სიყმაწვილის შემდეგ წლები
სულ შრომაში გავიდა.
ხვალინდელი დღის იმედით
წლები ხელში გამიქრა,
ვერ აღვიქვი შვილის სითბო
სიყვარულიც ჩამიქრა.
მოგონება დამრჩა მხოლოდ
იმ ლამაზი დღეების,
გულს შემორჩა ფიქრი, სევდა,
თავს დაფრქვეულ მზეების.
მაიმედებს მეგობრები
ჩემი სულის ღადარი.
„გამიფრინდა სიჭაბუკე“,
ჩამჩურჩულებს ჭადარი.
მაგრამ გული არ ბერდება,
ეს ოხერი ტიალი,
ყველა მიყვარს ვინც გულს არ მტკენს
მიყვარს მათთან შრიალი.
სიჭარმაგევ გული მტკივა,
უდროო დროს დამეცი,
ხო ხედავ არ გეპუები
მოხველ, ხმა არ გაგეცი.
ჰოდა ცოტა ამერიდე,
დამაცალე სიცოცხლე,
ვინაც მიყვარს არ წამართვა
ჩემთან ერთად მიცოცხლე.
ახალგაზრდულ შემართებით
ეს ცხოვრება გავლიო
დღევანდელი გაჭირვება
შრომით, გარჯით დავძლიო.
ჰოდა ასე ჩემო თავო,
გავიკეთოთ გუნება,
ფულისთვის და ქონებისთვის
არ გვქონოდეს ცდუნება.
რომ უფალთან წარვდგეთ ისე
გული გვქონდეს მართალი
დანარჩენი ღვთის ნებაა
ვძლიოთ ჩამონათვალი.
ყველას გკოცნით, გეფერებით,
ვინც დღეს მივსებთ ცხოვრებას.
„კაცი კაცით, ხე ფესვებით“
სჯობს მილიონ ქონებას.

„თერჯოლობა“ — 2023

**„ჩემს თერჯოლას სკანდის ციხით დავუდგები დარაჯად,
დავცემულვარ მუხლზე ლოცვად დედა ღვთისას კარადა,
სიყვარული მოდის ჯარად, სიძულვილი არა ჩანს...“**

თერჯოლა, 22 ოქტომბერი, 2023 წელი

ლაშა გოგიაშვილის სახელობის თასი „თერჯოლამ“ მოიპოვა

2023 წელი, 22 ოქტომბერი—ამ თარიღს ერთ, განსაკუთრებულ დღედ მიითვლის თერჯოლის მუნიციპალიტეტი და მისი ცენტრი ქ. თერჯოლა.

ღვინობისთვემ გულმხურვალობა გამოიჩინა და ერთი საუკეთესო, მცხუნვარე მზით გამთბარ-განათებული დღე გვაჩუქა.

ამ დღეს, „თერჯოლობის“ პირველი ღონისძიება, ფეხბურთში ლაშა გოგიაშვილის სახელობის საფეხბურთო ტურნირის ფინალური მატჩით დაიწყო. ვიდრე ამ თამაშის შედეგებს გაგაცნობთ, ფეხბურთის მოყვარულებს მოვუთხრობთ, რომ მიმდინარე წლის 5 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით, ქალაქ თერჯოლის ხელოვნურსაფარიან სტადიონზე, ლაშა გოგიაშვილის სახელობის მუნიციპალიტეტის პირველობა მიმდინარეობდა მინი ფეხბურთში. მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ტურნირი, რომელშიც ჩვიდმეტი გუნდი მონაწილეობდა ოლიმპიური სისტემით გაიმართა.

საინტერესო პაექრობათა შემდეგ ნახევარფინალში ქალაქ თერჯოლისა და სოფელ ეწრის—ასევე, სოფელ ზედა საზანოსა და ძევრის გუნდები გავიდნენ.

გიამბობთ თუ როგორ წარიმართა ლამაზი სანახაობა, რომელიც თერჯოლა-ძევრის ფეხბურთელებმა წარმოუდგინეს მრავალრიცხოვან მაყურებელს.

თამაშის ქრონოლოგია ასეთი გახლდათ: პირველი გოლის

გატანა მოწინააღმდეგეთა კარში მასპინძლებმა იზეიმეს, მაგრამ გულხელდაკრეფილნი არც სტუმრები იყვნენ და საპასუხო გოლის გაქვითვაც შეძლეს.

ძირითადი დროის და დამატებით ორი ხუთწუთიანი ტაიმების შემდეგ პენალტების ჯერმა გადაწყვიტა მატჩის ბედი თერჯოლელთა სასარგებლოდ (4:2).

მრავალრიცხოვანი მაყურებელი ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა და ტაშს უკრავდა ორ საუკეთესო გუნდს.

მუნიციპალიტეტის მერი ბატონი მანუჩარ რობაქიძე თბილად მიესალმა ფინალისტ გუნდებს და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ. მანვე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, დავით გოგბერაშვილთან და ჯემალ ისაკაძესთან ერთად ფინალში გასული თერჯოლისა და ძევრის გუნდები შესაბამისი პრიზებით დააჯილდოვა. გამარჯვებული გუნდის კაპიტანს გადასცა თასი, მედლები, სამახსოვრო დიპლომები და ფულადი ჯილდო.

მეორე ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა ფულადი ჯილდო, მედლები და სამახსოვრო დიპლომი.

ცალკე უნდა აღინიშნოს მსაჯთა კოლეგიის (რამაზ გურაბანიძე, სანდრო შუღლაძე, ელგუჯა გოგბერაშვილი) მაღალკვალიფიციური მსაჯობა.

სრულ მზადყოფნაში იყო სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სკოლის ექთანი ნატო ნებიერიძე.

ფინალისტი გუნდების შემადგენლობები:

ქალაქი თერჯოლა—გიორგი **თურქაძე, ნიკა ღიბრაძე, ლევან ფორჩხიძე, თამაზ კვერნაძე, გოგა არაბიძე, თორნიკე ზარნაძე, ლაშა ნიკოლაძე, თორნიკე კიკვიძე, მიშიკო სამანიშვილი.**

სოფელი ძევრი—გელა ფანჩულიძე, გიორგი ფანჩულიძე, გოგა ფანჩულიძე, შავლეგო ფანჩულიძე, ლექსო ფანჩულიძე, გიორგი ბერძული, ბექა ჯიხვაშვილი, კაკო აბულაძე, შოთა აბულაძე, თემურ ქათამაძე.

ნაჩქარევი, გაურანდავი სტრიქონები დაწერილი „თერჯოლობის“ დღეს

თუზიდან დაწყილი—კვახჭირის ჩათვლით
ყოველი ნიუანსის გათვლით
—გავიხარეთ ამ დღით!

***

თერჯოლობის ზეიმზე
ერთბაშად განათდა ცხრათვალა მზე.

***

თერჯოლა ახლა სულ სხვანაირია
ვარდ-ყვავილნარი ერთბაშად გადაირია...

***

„კაი გამარჯობა შენი“—ესმის ქუჩას
ზეიმს კაი პირი უჩანს...

***

ოქტომბრის მზე გვათბობს, გვახარებს
ღრუბლები მიჰქრიან სხვა მხარეს...

***

ყანწი გამომართვი სტუმარო, „შიგ ალადასტურია“
—ჩვენი ძმობის დასტურია.
ამ ყანწს არავის დავანებებ, არ მივცემ,
გამომართვი, ძმობას გაფიცებ...

***

ისეთი ლამაზი, ისეთი სიამის მომგვრელი,
სიტყვა არ მინახია—
როგორიც ვენახია.

***

თერჯოლური ღვინო,
რომ ყველგან მოწონებით სარგებლობს
ჩვენი ციცქა, ცოლიკაური, ალადასტური
არის ამის დასტური.

***

რა ხმაურია მანდ?
გაისმის სუფრის თამადის მკაცრი ხმა!?
—იძულებით ვწყვეტ წერას
ვმორჩილებ ბედისწერას.

***

***ეს ლამაზი დღე დიდხანს გვექნება საამო-სალაპარაკოდ!
და არა საიგავ-არაკოდ.***

ნუგზარ გამყრელიძე

ანდრო ვაშაკიძე

გარდაიცვალა თერჯოლის ვეტერანთა საქმეების ყოფილი ხელმძღვანელი ანდრო ვაშაკიძე.

ანდრო იოსების ძე ვაშაკიძე დაიბადა ქ. რუსთავში 1960 წლის 13 მარტს. იმავე ქალაქში მიიღო საშუალო განათლება. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო-საინჟინრო ფაკულტეტი.

ქ. ბათუმში მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური და განაგრძო მოღვაწეობა საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნულ გვარდიაში.

მონაწილეობდა ჯერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საბრძოლო კონფლიქტებში, ხოლო 2008 წელს თავის ორ შვილთან ერთად—რუსეთ-საქართველოს ომში.

სამხედრო-შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისგან მიღებული ჰქონდა მრავალი მადლობა, უწყებრივი მედალი და ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენი.

ბატონი ანდრო 2017 წლიდან 2023 წლამდე გახლდათ თერჯოლის ვეტერანთა დეპარტამენტის წარმომადგენელი.

მას მინიჭებული ჰქონდა მაიორის სამხედრო წოდება.

თერჯოლის ვეტერანთა შორის სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. ისინი თერჯოლის საზოგადოებასთან ერთად მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

თერჯოლის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური

ღვინის დღეები ღვინის სამშობლოში

თერჯოლა, 9 ოქტომბერი 2023 წელი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით 7-15 ოქტომბერს, ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა ყოველწლიური ღვინის ფესტივალი „ღვინის დღეები“. ამ პროგრამით ასეთი ღონისძიება ქალაქ თერჯოლაში, 9 ოქტომბერს, დავით კლდიაშვილის სახელობის სკვერში გაიმართა.

საფესტივალო პროგრამა 17:00 სთ-ზე დაიწყო. მოეწყო იმერული ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა.

საინტერესო იყო კვების სივრცე: მწვადი, ყველი, თაფლი, ჩურჩხელა, ადგილობრივი მზარეულების ტრადიციული კერძები. თქვენ შეგეძლოთ გენახათ პურის ცხობა, ჩურჩხელის ამოვლება, ფელამუშის მომზადება, ყურძნის დაწურვა საწნახელში.

საბავშვო გასართობ სივრცეში მოეწყო სახალისო გაკვეთილები: თიხის ძერწვა, ღვინის ჭიქებისა და ბოთლების მოხატვა.

„8000 წლიანი უწყვეტი ტრადიცია“—ასე ეწოდებოდა საგამოფენო სივრცეს, რომელიც ასახავდა ქართული ვაზის და ღვინის ისტორიას.

ჩატარდა ღვინის კონკურსი და სომელიე ჯაბა ძიმისტარიშვილის სესიები ადგილობრივ ღვინოზე.

მოეწყო ქართული ხალხური საკრავების წარმოდგენა.

ღონისძიების დასასრულს კი გაიმართა კონცერტი ჯგუფი „შერეკილები“, გიორგი მახარაშვილის, ნოდარიკო ხუციშვილის და ბენდის მონაწილეობით.

საფესტივალო ეს დღე შედგა. დასანანია მხოლოდ ის, რომ ასეთ კარგ ღონისძიებას კარგი ამინდი არ დაემთხვა. სიცივისა და წვიმის გამო მას ყველა მსურველი თერჯოლელი ვერ დაესწრო...

იმედია, რომ მომავალ წელს ამინდიც და ღონისძიებაც სინქრონში იქნება და ყველა მსურველს მიეცემა შესაძლებლობა დაესწროს ამ კარგ ღონისძიებას და მასში თავადაც ჩაერთოს.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872